№ 125

ოთხშაბათი, 16 ივნისი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 125

ოთხშაბათი, 16 ივნისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება **6** მან. **50** კაპ.

შევისწავლე რა **საეკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—11)

## «ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

კვირას, 20 ივნისს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია მეორედ საგანგებო საზოგადო კრება ქართველთა სააღებმიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა“.

კრება უსათუოდ შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრებამ უნდა აირჩიოს თავმჯდომარე გამგეობისა, ვ. აღნიაშვილის ნაცვლად, რომელიც ამ თანამდებობას თავს ანებებს.

ამხანაგობის წევრთ არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (6—6.—2)

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის —მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Кукія, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).


## სოფლის ინტელიგენციას.

—

როდესაც გადასახლ-გადმოსახლებაზედ ამოდენა ლაპარაკია აღძრული მწერლობასა, კერძო პირებსა, სხვა და სხვა დაწესებულებაებსა და კომიტეტებში, ჩვენ, ქართველი ინტელიგენცია, ქართული მწერლობა გულხელ დაკრებილი შევსცქერით ამ მძიმე საქმეს და ვიფურთხებით აქეთ-იქით, თითქო ჩვენ ვალად არ გვაწევს ზრუნვა ჩვენი საქმეებისა და ჩვენი ხელობა მარტო სხვის გინება იყვეს და არა ჩვენი თავის პატრონობა.

ხალხს, რომელსაც საკმაო მამული არა აქვს, რომ თავი შეინახოს, იმის საბოლოვო დაღუპულია, იმისი საქმე წასრულია. სამწუხაროდ, მეტს წილს ჩვენი ინტელიგენციისას და მეტადრე მაღალი წრეებიდამ გამოსულს აზრი აქვს შემდგარი, რომ ჩვენს ხალხს, არამც თუ საკმაო, პირიქით იმოდენა მამულები აქვთ, რომ აღარც-კი იციან, რა უყონ, რასაც ამტკიცებს, ვითომც ის, რომ სამუშაოდ ცოტანი გადიან და მუშა ხელი ცოტაა.

მე კვლავაც ბევრგან მიწერია და ეხლაც ვამბობ, რომ ჩვენს ხალხზედ უმამულო ხალხი ძნელად წარმოსადგენია. ჯერ ავიღოთ რამდენი ხალხია, რომ თავისი არა აქვს რა და შეჰკედლებიან სხვის მამულს! რაოდენი მოიჯარადრე უმამულო გლეხი! ახლა დაუმატოდ ამას რაოდენი „უნადელო“ საბატონო გლეხი დარჩა, რაოდენი მცირე ნადელიანი და დღეს ისევ უმამულო, რადგან გაყოფილთ თითო სახლკარის ადგილიც აღარ დარჩათ. ამ ოციოდე წლის წინად ერთს ჩემს წერილში მქონდა ნათქვამი, რომ, არამცთუ გლეხობაში და თვით აზნაურობაში არის ამგვარი მაგალითი, რომ ექვს ძმას აზნაურს არაფერი ღვთისაგან განაჩენი არა გააჩნდათ რა, გარდა ერთი ბოსლისა. ექვსთავ ძმები ცოლშვილიანები იყვნენ, გაიყვეს ექვსათ ბოსელი, გალასტეს ექვსათ და დადგნენ შიგა. თუ აზნაურობაში და თავადობაში ესა ხდება, ცხადია რომ გლეხობაში უარესი იქნება და არის კიდეცა.

უბედნიერეს სოფლად საქართველოში ითვლება სახელმწიფო სოფელი საგარეჯო, რომელზედაც ზოგიერთა გადმოსახლების მოსურნე კომიტეტთ და მწერალთ უჩვენეს, რომ ბევრი მამული აქვს, ამის გამო უნდა მოეჭრას ამ სოფელს და მიეცეს გადმოსასახლებელ უცხო გლეხობასაო. რა გგონიათ მკითხველო, რა მოდის ნადელად აქაური მამული საგარეჯოს კომლს გლეხზედა? ოფიციალური ცნობებიდამვე—რვა დესეტინა. რაოდენი სულიდამ შესდგება შუათანა რიცხვით საგარეჯოელი გლეხის კომლი?—ათი სულიდამ. ახლა ისიც უნდა ვიცოდეთ, რა მამულია ეს მამული. რვა დესეტინადამ ოთხი დესეტინა სახნავი არ ვარგა, რადგან წყალი არა აქვს და უწყლოდ მოსავალი არ მოდის. ამ ოთხი დესეტინიდამაც ყოველ წლივ მარტო ნახევარი იხვნის. მაშასადამე ორმა დესეტინა ნახნავმა უნდა ათი სული შეინახოს! იქნება ეგონოს მკითხველს, რომ მოსავალი ზღვათა სცდებოდეს. აქაური შუათანა მოსავალი არის დღიურზედ 30 ფუთი. აქედამ ცოტა რომ ვსთქვათ 20 ფუთი თესლსა და სხვა ხარჯს უნდება, რჩება ოთხი დღიურიდამ ორმოცი ფუთი ათი სული ოჯახის სარჩენად, სახელმწიფო, სასოფლო და სხვა გადასახადების გასასტუმრებლად. ეს საუკეთესო მამულიანი სოფელი, თვით გადმოსახლების მქადაგებელთავე ჩვენებით! რა უნდა იყვნენ ახლა სხვა სოფლის მცხოვრებნი?.. რვა დესეტინა კომლს სახელმწიფო საუკეთესო სოფლის გლეხზედ! რა არის „კორენოი“ ნადელი რუსეთში? 15—30 დესეტინა. 30 და რვა, ისიც სახნავი მხოლოდ ოთხი დესეტინა!

რაოდენი გაჭირვება უნდა იყვეს უმამულობისა, რომ მაგალითად რაჭაში ქცევა, ესე იგი დღიურისა სამი ჩარექი ხშირად იყიდება ას—ორას თუმნად და მეტადაც, ესე იგი დესეტინა თითქმის ხუთას თუმნად. უმამულობამ ნახევარი სამეგრელო გარეკა საათფხაზოში და, თუმცა ათასი შევიწროება და დევნა აქვთ, მაგრამ ქალაქის ნაძალადევივით ისინი მაინც არ იშლიან თავისას და თანდათან იჭერენ სხვა და სხვა ნაოხარს ადგილებს და ემკვიდრებიან იქ. რა არის სვანეთის საკომლო! რა მდგომარეობაშია ოსეთი, აჭარა, თუში, ფშავი, ხევსური და სხვა-და-სხვა ათასი ამ გვარი საქართველოს ადგილები! ვიმეორებ, გვმართებს სიფხიზლე, ქვეყნის პატრონობა და ყურისგდება. რუსული ანდაზაა: дитья не плачетъ—мать не разумѣетъ. თუ ჩვენვე არ გამოვიკვლიეთ ჩვენი გაჭირვება, თუ ჩვენ არ ვუჩვენეთ ქვეყანასა და მთავრობას ჩვენი საჭიროებანი, სხვები, ცხადია, უფროც არ აიტკივებენ ჩვენთვის თავს.

ამის გამო, დიდს ვალს დასდებს ქვეყანას ჩვენი სოფლის ინტელიგენცია, შეჰკრიბონ საქართველოს ყოველი კუთხიდამ შემდეგნი ცნობანი და მოაწოდონ ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას: 1) რა სოფელში რაოდენი კომლია, განურჩევლად წოდებისა, სრულიად უმამულო. 2, რაოდენი კომლია, რომელსაც მარტო სახლკარი აქვს და სხვა არაფერი. 4, რაოდენი კომლია, რომელთაც ერთი დღის მიწა, ორი დღის მიწა და ამგვარად მეტად მცირე მამული აქვთ. 5, რაოდენი კომლია რომელთაც საკუთრება არა აქვთ და მარტო ნადელებით სცხოვრობენ. 6, რაოდენი კომლია მცირე ნადელიანი და რამდენისამე დღის ნადელი აქვს. 7, ვის რაოდენი დღის ვენახი აქვს საკუთარი ან ნადელისა. 8, შუათანა რიცხვი, რამდენი სულიდგან შესდგება კომლი სოფელში. და სხვა ამგვარი, რომლიდგანაც შეიძლებოდეს გამოირკვეს, საჭიროა თუ არა ჩვენის ქვეყნის ხალხისათვის *) მამულების დამატება და შეიძლება თუ არა იმ მამულებით, რომელიც უჭირავთ ცხოვრება და სახელმწიფო და საზოგადო გადასახადების გაძლოლა.

ანტონ ფურცელაძე

*) ჩვენის ქვეყნის ხალხად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისინიც, ვინც ძველადვე შემოხიზნიან ჩვენს ქვეყანას. მაგ. ურიანი სრულიად უმამულონი არიან და სხვა.

## მთავრობის განკარგულებანი.

—

ებოძათ წმ. ანნას მეორე ხარისხის ორდენი პოლკოვნიკს თავადს გიორგი ორბელიანს.

კოლეჟსკი ასესორობა—ტიტულიარნი სოვეტნიკს გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის მდივანს ჩაჩანიძეს; კოლეჟსკი სეკრეტრობა—გუბერნსკი სეკრეტარს იმერეთის საეპარქიო კანცელარიის მოხელეს მინდელს, და კოლეჟსკი რეგისტრატორობა—კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების უწყების აწყურხევის საეკლესიო სამრევლო სასწავლებლის მასწავლებელს თაბუნიძეს.

დამტკიცებულ იქმნა კოლეჟსი სეკრეტრის ხარისხში სტუდენტი სემინარიისა, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი მარგალიტაძე.

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ, 15 ივნისს, კავკასიის მთავარმართებელი გენ. ადიუტ. თავ. გ. ს. გოლიცინი გაემგზავრა კისლოვოდსკს.

*** 8 ივნისიდგან ტფილისის სასულიერო სემინარიაში იმართება საზაფხულო კურსები საქართველოს საექსარხოსოს ყველა ოთხის ეპარქიის მასწავლებელთათვის. სულ კურსებზედ მოწვეულ იქმნა 60 მასწავლებელი: 20—ქართლ-კახეთის ეპარქიიდგან, 15 იმერეთისა, 15—გურია-სამეგრელოსი და 10—სოხუმის ეპარქიიდგან. კურსები გასტანს 30 დღეს. კურსებზედ დანიშნულია 142 გაკვეთილი, რომელთაგან საღმრთო სჯულისა არის 18, რუსულ ენისა—16, ქართულ ენისა—10, ანგარიშისა—16, სლოვიანურ-საეკლესიო, ქართლ-კახურ საეკლესიო და იმერულ-საეკლესიო გალობისა—ოცდა ექვსი—სულ 78 გაკვეთ. სასკოლო ჰიგიენისაც—4 გაკვეთილი. ახალის დებულების ძალით კურსებზედ არ უნდა იქმნას არავითარი ლექციები, ამ კურსებზედ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კურსისტების სანიმუშო გაკვეთილებს და საუბრებს სწავლების წეს-რიგის შესახებ. საგნების ხელ-მძღვანელებად დანიშნულნი არიან: საეპარქიო ზედამხედველი ნ.გ.ტატიშვილი,—საღმრთო სჯულისა; ტფილისის სასულ. სემინარიის მასწავლებელი ი. ფერაძე—რუსულ და ქართულ ენებისა და ანგარიშისა; ვერის იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიის მღვდელი ი. მიხაილოვსკი—სლავიანურ-საეკლესიო გალობისა; ს. გ. წერეთელი,—ქართლ-კახურ საეკლესიო გალობისა და მ. რ. შარაძე—იმერულ საეკლესიო გალობისა. კურსისტებისათვის გამართულია სამაგალითო სამრევლო ერთკლასიანი სკოლა სამის განყოფილებით. 6 ივლისს კურსების გათავების შემდეგ კურსისტები საეკლესიო გალობაში გამოიცდებიან.

*** აღმოჩნდა მეტად საინტერესო მასალა იმის შესახებ, რომ ამ საუკუნის 1820 წლებში რომში, პაპის კარდინალთა შორის ქართველთ გვარის გამოჩენილი კარდინალი ყოფილა ივანე ლეონიძე. ამ კარდინალის ცხოვრებას ჩქარა გავაცნობთ მკითხველებს.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის მოურავს, წარმომიდგინეთ პირი ქალაქის საბჭოს 1886 წლის 26 დეკემბრის დადგენილებისა, იმის შესახებ, რომ გრიქუროვის ქონება განთავისუფლებულ იქმნას დაფასების გადასახადისაგანაო, აგრეთვე წარმომიდგინეთ დაწვრილებითი ცნობები იმ საბუთების შესახებ, რომელთა ძალით ქალაქის გამგეობას სამართლიანად მიაჩნია 500 მანეთზედ ნაკლებ დაფასებულ ქონებათა განთავისუფლება დაფასების გადასახადისაგანაო.

*** ამ ჟამად სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში წარდგენილია 3,000-ზედ მეტი თხოვნა სახაზინო ადგილების დათმობის შესახებ მარტო ტფილისის გუბერნიაში.

*** წელს მეორე საქალებო გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა 38 მოსწავლემ. მათ შორის 4 ქართველია: ნინა ვეფხვაძე, ალექსანდრა ნებიერიძე, ქეთევან ტატიშვილი და თამარა წამუთალი (?).

*** ამ დღეებში მოხდება ტფილისელ მეეტლეთა კრება, რომელზედაც უმთავრესად განხილულ იქმნება ნიხრისა და საბჭოს სავალდებულო დადგენილებათა შეცვლის საქმე. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრების დადგენილება მეეტლეთა საერთო შუამდგომლობასთან ერთად წარედგინება ტფილისის გუბერნატორს. მეეტლეთა განზრახვით ნიხრი ზოგიერთს მანძილზედ უნდა შემცირებულ იქმნას 20 კაპიკამდე, ზოგიერთს მანძილზედ კი უნდა მომატებულ იქმნას. („ახ. მიმ.“).

*** სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრებას შეეძლოს საკუთრებად შეიძინოს უძრავი ქონებანიო.

*** გუშინ, 15 ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში საჯარო გასასყიდად იყო დანიშნული 131 მამული, რომელზედაც ირიცხებოდა მოკლე-ვადიანი სესხი. გასასყიდად ჩავარდა მარტო 21 მამული, რადგანაც დანარჩენებისა რაც შესატანი იყო, შეტანილ იქმნა ვაჭრობამდე. ამ 21 მამულიდამ გაიყიდა 16 მამული და დანარჩენი ხუთი მამული 30 ივნისისთვის გადაიდვა ხელ-ახლა გასასყიდად.

*** ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების დირექტორმა რობიმ, 14 ივნისს, პირადად თავისთვის, სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება მომეცით ავიყვანო რკინის გზა მთაწმინდის სერზედაო. გზაზედ ივლის 2 ან 4 ვაგონი. გზის წარმოება უნდა დარჩეს რობის ხელში 45 წლის ვადით, რის შემდეგ გადავა ქალაქის საკუთრებად. გზა დაიწყება ქალაქის წყლის მიღების აუზიდგან. მთაწმინდის სერის შუაზედ გაიმართება სადგური ვაგონების შესახვედრად, ხოლო უკანასკნელი სადგური იქნება სერზედ „განდეგილთან“. გადასახადი შუა სადგურიდგან ზედამდე და ქვედამდე იქნება 10 კაპ. კაცზედ, ქვე და სადგურიდგან ზედამდე 20 კაპ., იქიდგან 15 კ., ხოლო აქედგან და იქიდგან 30 კ. ერთის ფუთის ბარგის წაღება ეღირება 5 კაპ., ვაგონები ივლიან 15 მარტიდგან 15 ნოემბრამდე. კონცესიის ვადის გასვლამდე რობი ჰპირდება ქალაქს 1 პროცენტს მთელ შემოსავლიდგან. ის აცხადებს, რომ მას სათახადო მთავრობის წინაშე უკვე შუამდგომლობა აღუძრავს ამ საგნისა და კიდევ იმის შესახებ, რომ ეს გზა გაიყვანოს კოჯორამდე.

ამასთან ბ-ნი რობი აღნიშნავს, რომ მთაწმიდის წვერი, რომელიც მტკვრიდგან 1,200 ფუტის სიმაღლეზედ არის ამართული, მშვენიერი სააგარაკო ადგილია, კოჯორზედ უკეთესი. რობის განზრახვა აქვს, აგრეთვე აიყვანოს მთაწმინდის წვერზედ წყალი, გამართოს იქ ბაღი და საზაფხულო თეატრი, როტონდა და სხ.

*** ბელგიის მადნებისა და თუთიის (ცინკის) ჩამომსხმელ უსახელო საზოგადოებას ნება მიეცა იმოქმედოს რუსეთში. ამ საზოგადოებას აზრად აქვს შეიმუშაოს და აწარმოვოს კავკასიაში ტყვია-ვერცხლისა და თუთიის მადნები.

*** სოხუმიდგან იწერებიან, რომ ხის ხიდების ასაშენებლად სოხუმისა და ზუგდიდის გზაზედ ნაანგარიშევია 42,430 მან. ხიდების აშენება უკვე დაუწყიათ და გაათავებენ მომავალ ივლისის შუა რიცხვამდე.

*** ტფილისის სამკურნალო გამგეობა საჩივარს იწყებს კანდიტერს საკაიანცზედ, რომლის საკანდიტეროში მომზადებულ ცივ ტკბილათი ამას წინად რამდენიმე კაცი მოიწამლა.

*** გამოქვეყნებულ იქმნა კანონი ცხენის მოპარვისათვის პასუხის გების გაძლიერების შესახებ. იმას, ვინც აშკარად მოპარულ ცხენს გაჰყიდის, თუ დამტკიცდა, რომ ეს საქმე ხელობად გადაუქცევია, აეყრება ყველა უფლება, ღირსება და გაიგზავნება საცხოვრებლად ციმბირში, ანუ დატუსაღებულ იქნება პატიმართა განყოფილებაში. იგივე სასჯელი დაენიშნება იმასაც, ვინც აშკარად მოიპარავს ცხენს, თუ ამასთან ისიც დამტკიცდა, რომ მას ცხენის პარვა ხელობად აქვს. თუ ეს დანაშაული ჩადენილ იქმნა ქუჩაზედ, სამგზავრო გზაზედ, ანუ ღამით, სასჯელი ორკეცდება, ანუ სამკეცდება. თუ დანაშაულში მონაწილეობას იღებს რამდენიმე კაცი, თუნდაც ბრბოს არ შეადგენდნენ, დამნაშავეთ, რომელთაც ცხენის ქურდობა ხელობად გარდაუქცევიათ, აეყრებათ ყოველი უფლება-ღირსება და გაიგზავნებიან საცხოვრებლად ციმბირს.

*** ტფილისის სამკურნალო გამგეობაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სოფ. ახალქალაქსა, ქარელსა და ხაშურში დაარსეს სასოფლო ქსენონები. ამ ქსენონებისათვის საჭირო ყველა ხარჯს კისრულობს ადგილობრივი სასოფლო საზოგადოებანი. პირველ ხანებში განზრახვა აქვთ დააარსონ ქსენონებში სოფლის მკურნალის თანამდებობა და დაუნიშნონ მას დასახმარებლად ერთი ფერშალი. თითოეულის ქსენონის ხარჯი საზოგადოდ არ აღემატება 2,400 მან. წლიურად.

*** ქალაქის გამგეობამ სთხოვა სატახტო ქალაქების თვითმმართველობათ გამოგვიგზავნეთ თქვენ-მიერ სხვა-და-სხვა აღმასრულებელ კომისიებისათვის შემუშავებული ინსტრუქციებიო.

*** მიწად-მოქმედების სამინისტრომ ნება დართო კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილებას გამართოს სამეცნიერო-სამოსწავლო საბაღოსნო გამოფენა და გადასდო მის გასამართავად 100 მან.

*** ახალციხე. ახალციხის ნაწილს რობითში უმეტეს ნაწილად ქართველ კათოლიკენი სცხოვრებენ. დღეს ამათს ეკკლესიებში სომხურს ენაზე სწარმოებს წირვა ლოცვა, რის გამო ხალხი დიდათ სწუხს. არ იციან რა ქმნან და ვის სთხოვონ, რომ მათს ეკკლესიებში ხანდისხან მაინც სწირონ ქართულს ენაზედ. ამის გამო შუამდგომლობას აპირებენ უმაღლესს მთავრობის წინაშე.

*** სად. ახსტაფა. 9 თიბათვეს, ღამის 3 საათი იქნებოდა, რომ მეფურნე სოლომონ ავალოვის სახლთან მივიდა თურმე რამდენიმე ბოროტ-განზრახველი. თითონ ავალოვი არა ყოფილა სახლში. ერთმა მათგანმა გააღო ფანჯარა და გადავიდა ოთახში. სადაც ტახტზედ ავალოვის ცოლს დარიას და პატარა შვილს ეძინათ. ბოროტ განმზრახველმა დაიწყო ფოთიარი და ფულის ძებნა, ბოლოს, როგორც იყო, იპოვნა ფული პატარა ყულაბით და გამობრუნდა ფანჯრისაკენ, სადაც სხვა ამ ხანაგებიც უცდიბნენ, მაგრამ უცბად ამ ხმაურობაზე დარია ავალოვისას გამოეღვიძა. მაგრამ გაიგო თუ არა, რომ ფულის მოსაპარად მოსულანო, წამოვარდა ზეზედ, მისწვდა ფეხებში ხელი ქურდს, მორთო ყვირილი და დიდის ვაივაგლახის შემდეგ, ყულაბით სავსე ფული ხელიდგან გამოჰგლიჯა. გულმოსულმა ქურდმა მოიქნია ქალი მიწაზედ დაახეთქა, ბოლოს მისდგა და დაუწყო ცემა უწყალოდ. ისეა გალახული საბრალო ქალი, რომ ერთ ხელს ვერ ანძრევს, მთელი სხეული დალურჯებული აქვს და ველარ მოძრაობს. პატარა ბავშვი, რომელსაც გამოეღვიძა ამ ხმაურობაზე, შეჰკრთა და დაიწყო კივილი. ქურდმა ერთი იმასაც ჩაჰკრა, რის გამოც ბავშვს ენა ჩაუვარდა; ასეთს მდგომარეობაში იყო, ვიდრე ისევ დედამ არ დაუწყო თურმე ალერსი. მეოთხე საათი რომ დაიწყო, თვითონ ს. ავალოვი მივიდა სახლში, გააღო თუ არა ჰიშკარი, ქურდებმა გაიგეს, დაანებეს სახლს თავი და გაიქცნენ. პატარა ბავშვს თურმე უცვნია ერთი ამათთაგანი და აზრიც აქვთ მიტანილი იქვე ახლო მეზობლებზედ.

---

## ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

7 ივნისი

კრება დაიწყო ქალაქის თეატრში დილის $10^1/_2$ საათზედ. ბულვარი და გიმნაზიის ქუჩა ხალხით არის გატენილი. თეატრის კარებს სასტიკად იცვენ პოლიციელნი. გარეშეს არავის უშვებენ თეატრის დარბაზში. გამგეობის მომხრეების წინა დღის უწესო ქცევამ, რომელმაც გამოიწვია არჩევანების გადადება შემდეგის დღისათვის, ოპოზიცია ძლიან აალელვა და დაალონა, ხოლო მოწინააღმდეგეთ ფრთა შეასხა და გაათამამა. „ეს უკანასკნელნი უეჭველად დამარცხდებოდნენო, რომ გუშინ თავმჯდომარეს არჩევანები დღეისათვის არ გადაედვაო: გამგეობის რიცხვს იმ ღამეს ორი ტფილისიდგან ჩამოსული წარმომადგენელი მოემატა, ორი ბათუმიდგანაო. ამ ღამის მეცადინეობამ, სადილებმა და ვახშმებმაც ტყუილად არ ჩაიარა, რავმდენიმე წარმომადგენელი გადიბირეს თავისაკენო“, ამბობდა ოპოზიცია, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ დაუთმო. სცენაზედ თავმჯდომარისა და მდივნის მეტი არავინ არის. თავმჯდომარე ორს ყუთსა სდგამს: ერთს კ. ნ. ჩიკვაიძისათვის, მეორეს დ. ა. ლორთქიფანიძისათვის. ასისტენტად იწვევს ქუთ. მაზრის მარშალს თ. დ. ო. ნიჟარაძეს. მდივანი კითხულობს ოქმს, რომელსაც კრება ამტკიცებს.

თ. გ. დ. ერისთავი. (ოზურგეთის მაზრის მარშალი) საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, რომ გუშინ ბ-ნ ს. ბ. ჯორჯიკიამ განზოხ ჩაიდინა თავმჯდომარის წინაშე ის უწესო ქცევა, რომელმაც არჩევანების გადადება გამოიწვია. ვთხოვ ბ-ნ ჯორჯიკიას, ამ კრების წინაშე სთქვას: უნებურად მოუვიდა ეს უწესოება, თუ განზრახვით? გამგეობის მომხრეემა ასტეხეს ყვირილი და პასუხი არავის გაუგონია. დარბაზში სიჩუმე გამეფდა. დაიწყო კენჭის ყრა. კრება სმენად გადიქცა. თ. დ. ნიჟარაძემ გამოაცხადა თუ არა, რომ კ. ნ. ჩიკვაიძემ მიიღო 110 თეთრი კენჭი და 94 შავი, ხოლო დ. ა. ლორთქიფანიძემ 106 თეთრი და 98 შავიო, ქუჩაში „ურას“ ხმა მოისმა და რამდენიმე მახარობელი გაექანა ეტლით ჩიკვაიძის სახლისაკენ; ჩიკვაიძეს შემოეხვივნენ მისი მომხრენი, ულოცავდნენ გამარჯვებას და ჰკოცნიდნენ. ოპოზიცია-კი საშინლად აღელდა და საყვედურით მიჰმართა ჩიკვაიძის მომხრეთა მოთავეებს: „თქვენ გარყვენით ჩვენი საზოგადოება, თქვენ დაჰბადეთ ჩვენს საზოგადოებაში შფოთი და უსიამოვნება, თქვენ დაღუპეთ ბანკი და მასთან გაგვიცრუეთ საუკეთესო იმედები, იყავით პასუხის-მგებელი წინაშე საზოგადოებისა, თქვენის სინიდისისა და მომავლისა! ჩვენ სირცხვილად არ მიგვაჩნია თქვენგან დამარცხება! წავიდეთ დარბაზიდგან, აქ დარჩენა სათაკილოაო“. თავმჯდომარე სთხოვს, მოიცადეთ დირექტორები უნდა ამოვარჩიოთო. ოპოზიციის ზოგი წევრი იმ აზრისა იყო, რომ განვაგრძოთ ბრძოლა, ზოგი წინააღმდეგი იყო; ოპოზიციამ დირექტორების კანდიდატებად დაასახელა ორი ახალგაზრდა კაცი: ს. კვიტაშვილი და დ. მდივანი, რომელნიც ჯერ უარზედ დადგნენ, მაგრამ შემდეგ დასთანხმდნენ. ოპოზიციამ რამდენიმე წამის თათბირის შემდეგ გადასწყვიტა დარბაზიდგან წასვლა. დარბაზი დარჩა მარტო გამგეობის მომხრეებს. ოპოზიციის მიერ დასახელებულ კანდიდატებმა აიღეს თავიანთი ყუთები. დირექტორების ადგილზედ დაიდგეს ყუთები ძველმა დირეტორებმა: ბ-ნთ ნ. დ. ერისთავმა (110 თ. 4 შავი) და ი. პ. ჯაიანმა (110 თეთ. 4 შ.). ზედამხედველის კომიტეტის წევრებად ამოირჩიეს ორი ძველი: ბ-ნნი ლოლუა და ს. ჯორჯიკია და ოთხი ახალი:

| | თეთ. | შავი |
|---|---|---|
| ლოლუამ მიიღო | 109 — | 6 — |
| თ. მელ. გ. ფაღავამ | 110 — | 4 — |
| ს. ბ. ჯორჯიკიამ | 109 — | 4 — |
| გიორ. ექ. წერეთელმა | 108 — | 5 — |
| გრ. საჩ. ბარათაშვილმა | 108 — | 6 — |
| ვლადიმერ ჩაჩიბაიამ | 106 — | 10 — |

გამგეობის კანდიდატებად არჩეულ იქმნა: ლევ სტეფანოვი, ანტონ ქურციკიძე და მიხეილ ზუბალოვი.

ხუთის ნახევარ საათზედ კრება გათავდა.

---

# რუსეთი

ხელმწიფე იმპერატორმა მოიწონა მოსკოვში საქალებო სამკურნალო ინსტიტუტის დაარსების განზრახვა და ნება დართო მოგროვდეს შეწირულებანი ამ აზრის განსახორციელებლად.

— ამას წინად მიწად-მოქმედების სამინისტრომ წინადადება მისცა სოფლის მეურნეთ და იმ კაცთ, რომელთაც თავი გამოიჩინეს სამეცნიერო ასპარეზზედ, გამოსთქვით თქვენი აზრი უმაღლეს საქალებო სამეურნეო სასწავლებლის ტიპის შესახებაო. ამ ქაძად ყველა ამ კაცთ წარუდგენიათ თავ-თავისი აზრი. ამ წლის სექტემბერში მოწვეულ იქმნა კრება ამ საგნის განსახილველად, მინისტრის ა. ს. ერმოლოვის თავმჯდომარეობით.

— ხარკოვის გუბერნიაში ადგილობრივი საქარხნო ინსპექტორები შესდგომიან მუშაობას ქარხნის მუშათა ყოფა ცხოვრების მიმოხილვის შესადგენად. მიმოხილვაში მოქცეული იქნება ცნობები მუშათათვის დაარსებულ სკოლებისა, საავადმყოფოთა და სადგომების მდგომარეობის შესახებ.

— ამ წლის მაისში მომხდარმა ფქვილის ვაჭართა კრებამ დაადგინა: მოველაპარაკოთ დამზღვევ საზოგადოებათ იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქმნას წისქვილის მუშათა იაფად დაზღვევის პირობებიო.

— სახაზინო რკინის გზათა სამმართველოს პროექტი წარუდგინა იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ყველა სახაზინო რკინის გზებზედ თანამდებობა კონდუქტორ-სანიტარისა, რომლის მოვალეობა იქმნება პირველ სამკურნალო დახმარების აღმოჩენა მგზავრთათვის.

— ნიჟეგოროდის გუბერნიის სოფ. მანასტირკის გლეხის ქალებს უთხოვნიათ ადგილობრივის გუბერნატორისათვის: დაჰხურეთ ჩვენს სოფელში სამიკიტნოები, რომლებიც ჩვენს ქმრებს სიამოვნებას ჰგვრიან, ჩვენ კი ცოლებსა და შვილებს — სიცივეს, შიმშილსა და ცრემლებსაო. ამ სამიკიტნოების მეოხებით ჩვენი ქმრები მეურნეობას თავს ანებებენ და სულ მუდამ ლოთობენო.

— საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო გარეშე ქალთ შევიდნენ მთავრობის საქალებო გიმნაზიის მე-XIII კლასში თავისუფალ მსმენელებად. ეს ნებართვა ძალაში შევა მომავალ სამოსწავლო წლიდგან.

— პეტერბურგში განზრახვა აქვთ დააარსონ ისეთი საქალებო სავაჭრო სკოლა, როგორც წელს დაარსდა კიევში.

— პოლონეთის ცნობილი მწერალი გენრიკ სენკევიჩი ამას წინად მძიმე ავადმყოფი შეიქნა. ახლა სწერენ, რომ ავადმყოფობა საშიში აღარ არისო.

— რუსეთის რკინის გზების მოძრაობის უფროსთა კრება გაიმართება 23 ივნისს პეტერბურგში. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, ლაპარაკი აღიძრება სამგზავრო მატარებელთა სისწრაფის მომატების შესახებ.

— რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურის ამხანაგობამ დაადგინა გადასდოს 40,000 მან. მუშათათვის შემწეობის დასანიშნავად.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ მასწავლებელთა შვილებმა, რომელნიც სამინისტრო სასწავლებელში სწავლობენ, უნდა ისწავლონ საღმრთო სჯული მართლ-მადიდებელ მასწავლებლისაგან და გარდაიხადონ ეგზამენი ამ საგანში მართლ მადიდებელ მოსწავლეებთან ერთად.

— უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ როცა ბავშვის დაბადების შესახებ მეტრიკულ მოწმობის მიღება შეუძლებელია, მაშინ მეტრიკულ მოწმობის მაგივრად შეიძლება მიღებულ იქმნას მოწმეთა ჩვენებაო.

— რამდენიმე მოსკოველი ქველმოქმედი აარსებს მოსკოვში ახალ საზოგადოებას „ქალთა ბედის გასაუმჯობესებლად“, რომელსაც საგნად აქვს გარყვნილებასთან ბრძოლა. ამ აზრით საზოგადოება განუზრახავს მიიღოს ქალები თავისის მზრუნველობის ქვეშ, დააარსოს მათთვის თავშესაფარები და მოუძებნოს საქმე. ამასთან საზოგადოება გამართავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნთ-საცავებს, საჯარო ლექციებს, კითხვებს, სკოლებს, სახელოსნოებს, საზოგადო ბინებს, საურთიერთო კასსებს, ქალთა ხელსაქმის გამოფენებსა, ვაჭრობასა და სხვ. განზრახულია აგრეთვე წიგნაკების გამოცემა იმ საგნების შესახებ, რომელთაც საზოგადოება ემსახურება.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გაფართოვებულ იქმნას სწავლის კურსი საქალებო გიმნაზიებში.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისის პარლამენტმა ახლო მომავალში ერთი საყურადღებო პროექტი უნდა განიხილოს და თავისი განჩინება დაადგინოს, სახელდობრ: დაენიშნოს ხაზინიდგან პენსია მოხუც მუშათ, თუ არა? ამ საგნის სასარგებლოდ მოძრაობა გამოიწვია ახალმა ზელანდიამ. გაზეთების სიტყვით, ზელანდიამ წარსულ წელში სულ უბრალოდ და ერთობ თამამად გარდასწყვიტა ეს დიდ-მნიშვნელოვანი საქმე: უთუოდ მიეცეს მოხუცებულ მუშას, სქესის გაურჩევლად, პენსია სახელმწიფო ხაზინიდგან, და ამისათვის სრულებით საჭირო არ არის, ისინი რასმეს იხდიდნენ ხაზინის სასარგებლოდ ჯანმრთელობისა და ახალ-გაზდობის დროსა. პენსია ეძლევა ახალ ზელანდიაში ისეთს მუშას, რომელსაც 65 წლიწადი უსრულდება და 25 წლიწადზე ნაკლები არ უცხოვრია იქ, რომელიც შენიშნული არ ყოფილა გარყვნილობასა და ლოთობაში, რომელიც კარგად ეპყრობოდა თავისს სახლობას და მისი წლიური შემოსავალი 34 გირვანქა სტერლინგზე ნაკლებია; პენსიის რაოდენობა 18 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ის მოხუცი მუშა, რომელსაც 34—52 გირ. სტერ. აქვს შემოსავალი წლიურად, იღებს პენსიას, მაგრამ ერთობ მცირეს.

ინგლისელებს თავი მოსწონთ, რომ ასეთი შესანიშნავი წესი პირველად მათს ახალშენებში დამყარდა. ჩარლზ ბუტსი წინადადებას აძლევს ინგლისელებს, რომ ახალ ზელანდიას უნდა გაასწრონ ამ საქმეშიო: მისის აზრით, სახელმწიფომ ყველა მოხუც მუშას უნდა მისცეს პენსია, იმის მიუხედავად, აქვს მას რაიმე შემოსავალი, თუ არა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო სწორედ ისე უნდა მოიქცესო, —ამბობს ბუტსი, — როგორც პირველ დაწყებითი სკოლების შესახებ იქცევაო, სახელდობრ: მსურველთ უსასყიდლოდ ასწავლის წერა-კითხვასო.

ქვედა პალატის მიერ არჩეულ საგანგებო კომისიას ასეთი პროექტი შეუმუშავებია ამ საგნის შესახებ: პენსიის მიღებისათვის საჭიროა, რომ მუშა არ იყოს 65 წლის ნაკლები, უკვე კვირაში 10 შილინგზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდეს და 20 წლის განმავლობაში რომელიმე დამხმარებელ კასის ამხანაგად იყოს. ბევრნი იმ აზრის არიან, რომ კომისიის პროექტი არ იქმნება შეწყნარებულიო.

—

**ბოლგარია.** ბოლგარიის საეროვნო კრებამ სხვა დეპუტატთ შორის, რომელთა ამორჩევა უკანონოდ სცნა, რიზოვიც დაითხოვა კრების წევრობიდგან. ეს რიზოვი ოპოზიციის წევრია და მისმა დათხოვნამ ძლიერ აღელვა მთავრობის მოწინააღმდეგე დასი. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ საქმე ის არის, რომ რიზოვი არ დამორჩილდა კრების დადგენილებას და მალ და მალ შეიჭრა საკრებულო დარბაზში და დეპუტატის ადგილი დაიჭირა. ეს საქციელი და სხვა კიდევ ამ გვარი ცხადად გვიჩვენებს, თუ რა ღონისძიებისათვის მიუმართავს ოპოზიციას, როცა კანონიერად ვერას გახდა, თუმცა წრეულს წარსულ წლების არჩევნებთან შედარებით ამომრჩეველებს დიდი თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული. ოპოზიციის გაზეთები იმით მართლულობენ თავს, რომ ვითომც რიზოვი მთავარ ფერდინანდის ჩაგონებით დაათხოვეს საეროვნო კრებას. ეს კიდევაც რომ მართალი იყოს, რიზოვის საქციელი მაინც გასაკიცხია, რადგან იმან ძალად მოინდომა წევრობა იმ დაწესებულებისა, რომელმაც არ ისურვა მისი ამხანაგობა.

ცანკოვის გაზეთი „ბოლგარია" იუწყება, რომ ხალხი თავის თავად მართავს მიტინგებს მთავრობის წინააღმდეგ, ასე რომ ოპოზიცია ჯერ არცკი გარეულა ამ საქმეშიო, და, მაშასადამე, აქედგან ყველა ცხადად დაინახავს, თუ როგორ ეჯავრება ერს ეხლანდელი სამინისტროვო. ეს ამბავი, სხვა გაზეთების სიტყვით, სიმართლეს მოკლებულია: მართალია, მიტინგები იმართება, მაგრამ ოპოზიციის თაოსნობით, რომელიც ხალხს ხან რას ჰპირდება და ხან რასა. ასე რომ ოპოზიცია რომ არ ერეოდეს საქმეში, ვინ იცის, ხალხს იქნებ ერთხელაც არ მოუვიდეს აზრად მთავრობის წინააღმდეგ კრების გამართვა.

—

**ტრანსვაალი.** ამ დღეებში პრეტორიაში მიტინგი გაუმართავთ ბოერებს, რომელსაც, იმის მიხედვით, რომ ამ ქვეყანას ეხლა განხეთქილება აქვს ინგლისთან, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა. ოთხი ათასი კაცი შეკრებილა ნაციონალურ ძეგლთან, რომელიც დადგმულ იქმნა 1880 წელს ტრანსვაალის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების სახსოვრად, რაიცა სწორედ ამ ადგილას მოხდა. მიტინგს ერთობ მშვიდობიანად ჩაუვლია, ასე რომ არავითარი უწესობა არ მომხდარა. კრებას თანაგრძნობა გამოუცხადებია პრეზიდენტის კრიუგერისთვის, რომლის საქციელი ხაკეთილსოდ მიუჩნევია ამ ჟამად, როცა ბევრი უცხოელი მტრულის თვალით უცქერის ტრანსვაალს. გენერალ ჟუბერს სიტყვა წარმოუთქვამს და გამოუცხადებია, რომ ტრანსვაალს არა სურს ვისმეს ომი გამოუცხადოსო, მშვიდობიანობის დაცვისათვის საჭირო არისო, უთქვამს ორატორს, —მხარი მივსცეთ კრიუგერის წინადადებას უცხოელების შესახებ, მაგრამ იმას მეტს ვერარას მოუმატებთო. კაპიტალისტები (რომელთაც მომეტებულ ნაწილად ინგლისელები შეადგენენ) ისეთსავე უფლებებს თხოულობენ, როგორიც ბოერებს აქვთ, მაგრამ ისინი ივიწყებენ, რომ ბოერებმა სისხლით შეიძინეს ეს უფლებებიო. ამისათვის ვალდებულნი ვართ დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა და ჩვენი ნებით ნურავის გავაქელვინებთ თავსო.

## დამაკვირდი

უგულნი დაბალნი ეძიებენ სიმაღლესა ზედა აღსვლასა.

ალექსანდრე მაკედონელი

* * *

სადა ბრძოლა არს, მუნ ღუაწლი და შრომა არს, და სადა ღუაწლი და შრომა არს, მუნ არიან გვირგვინნი.

წმ. ეფრემ (XI)

* * *

ვითარცა უტოლო თითნი მუშაკობენ შეწყობილად, ისე დიდ-წვრილთაცა კაცთა თანაც იღვაწონ პირიანად, თუ ესურვებათ განდიდება მამულისა.

ლასურიძე

## მცირე შენიშვნა „კვალ" ელების მიმართ.

გახსოვსთ, მკითხველო, ამას წინად „ივერიაში" იყო დაბეჭდილი (№№ 37, 38) ორი ფელეტონი, რომლის ავტორი არ ვიცი ვინ არის, ან კი რად გვინდა მისი ვინაობა? რაში გვეკითხება? აწერია: „თქვენგან (ესე იგი ყორდანიასაგან) იმედ გაცრუებული მკითხველი, მაშასადამე, წევრი ჩვენი საზოგადოებისა, წევრი, რომელიც თვალყურს ადევნებს ჩვენს წინსვლა-ცხოვრებასა, ჩვენს ავსა და კარგსა. არც შენ, არც მე და ბევრი, ვგონებ, სხვაც არ შევეკითხებით, გვითხარ რა ხელობისანი, ან რა მოხელე კაცი ბრძანდებიო. იმ ფელეტონში, როგორც გახსოვსთ, ხსენებული მკითხველი ცუდს რასმე სწამებდა ჩვენს ახალგაზრდა პუბლიცისტსა და ზოგიერთ მის თანამშრომლებს, სახელდობრ: სხვისის ნათქვამის დამახინჯებას და ცილის წამების გავრცელებას. მეწყინა, სწორეთ მოგახსენოთ. ახალგაზრდა პუბლიცისტი და ცილის-წამების სისტემატიური გავრცელება! არ მეგონა თუ ბ-ნი ყორდანია, ის ყორდანია, რომელიც და სხვა..., ამნაირად გაიგებდა თავის დანიშნულებას და სხვა ხიკეთის მაგიერ, ცილის-წამების მასწავლებლად გამოსდგებოდა. განა ახალგაზრდა პუბლიცისტმა ლანძღვა-თრევას უნდა მიჰყოს ხელი? განა გასაკეთებელი ისე ცოტაა ჩვენ ქვეყანაში? თუმცა „მკითხველის" წერილი საკმარისად დასაბუთებული იყო, მაგრამ ბ-ნ ყორდანიას პატივის ცემა კიდევ იმდენი ჩამრჩენოდა, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებულის ბრალდების არ იქნება რამე გასამართლებელი საბუთი არა ჰქონდეს მეთქი, ვფიქრობდი. ამიტომაც მოუთმენლად ველოდი ყორდანიას პასუხს. მერმე წარმოიდგინე, მკითხველო, რა უპასუხა ჩვენმა მწერალმა (მომყავს სიტყვა სიტყვით: „ჩვენ „გაცრუებულ მკითხველს" ასე მივმართეთ: თუ თქვენი ხელობის არ გრცხვენიანთ, თუ თქვენ სიმართლე გაინტერესებთ და პასუხიც გინდათ, პირ ბადეს აიხადეთქო. მას შემდეგ აგერ თვე ნახევარი მიდის და მას არ აუხდია ფარდა. მაშასადამე, მას რცხვენია თავის ხელობისა, მას მხოლოდ „აბლაკატობა" აინტერესებდა და არა სიმართლე და ესეთი კაცი განა ღირსია? მან უკვე უარ ჰყო თავისი ნაწერი და ხომ იცით რუსული ანდაზა „დაწოლილს არა სცემენო". აი ამიტომ თქვენი პასუხის დაბეჭდვა იმ კაცხატონის უადგილო პატივისცემათ მიგვაჩნიაო. ერთის სიტყვით, ის-და აკლია, რომ პასპორტები მოსთხოვოს მოწინააღმდეგეს. მარქსისტები და „დერჟიმორდა"! სხვაგან რომ არ გაგონილა მაგისთანა მახინჯი შეზავება?

„გაცრ. მკითხველმა" აიღო თქვენივე სარკე—„კვალი", ჩაგახედათ შიგ და დაგანახვათ თქვენი გათითრებულ-გაშავებული პუბლიცისტ-ხელმძღვანელის სახე, დაგანახვათ თქვენი უადგილო ალაგას დგომა, თქვენი უთავბოლოობა, სიცრუის ცრუ-პენტელა ღაღადისი და თან გირჩევთ: თუ ნიჩბი არა გაქვთო და ძალა არ შეგწევთ, დაანებეთ თავიო პუბლიცისტობას და „კვალის" ხელმძღვანელობასო. ნუ ეწევით იმ უღელს, რომელსაც ვერ ერევით და ვერც მოერევით და თუ ძალას დაატანთ, წელში მოჰსწყდებითო. ვიმეორებ, ბ-ნო ყორდანია, ცუდს რასმე გწამებთ ის „ვერ მიცანა"; თუ მართლა სწორედ არ დაგვიხატა თქვენი სახე და ვერ დაასურათა, როგორც მას ეჩვენა თქვენს სარკეში, თქვენი ნათლით მოსილი, ჭკუით სავსე სახე, ადექით და თქვენ დაგვისურათეთ, გააშავეთ... უკაცრავად, გაათეთრეთ და სხვაი მოჰფინეთ თქვენს პუბლიცისტურ სახეს. ნუ გეშინიანთ მისის ვერმიცნობობისა, მისის დამალულ მახვილისა, ოღონდ თქვენ კი საფუძვლიანად უპასუხეთ, დაარღვიეთ მისი თქვენ მიერ ცუდნი წამებანი, წყობით და ლოღიკურად, და თუ რამ უსამართლო მოიწადინა იმ „ვერ მიცანამ", გამძლევით პატიოსან სიტყვას, რომ შურს ვიძიებ, ერთი ორად გაზღვევინებ თქვენ მაგიერ. მაგრამ არა, თქვენ სხვა მეხამბაზს მოსთქვამთ. „მან პასუხი არ გამცაა ვერ თუ ვნახავარი გადისო". ჯერ თქვენ რომ არ გიპასუხნიათ მისთვის, იმან რაზედ უნდა გიპასუხოთ? რომელი დარბაისელი და მეცნიერი შეეკითხება „ვერ მიცანას", მითხარი შენი გვარი, სახელი და შენი ხელობაო და მერე გიპასუხებო?!. იქნება მარქსი დაეკითხა რომელსამე თავისს მოწინააღმდეგეს? არ ვიცი, არსად ამომიკითხავს, მგონი მეხსიერებაც არა მღალატობს და თუ ვცდები, მომაგონეთ ბ-ნო ყორდანია. თქვენ თუ ზემოხსენებულის მეცნიერის მიმდევარ-თაყვანისმცემელი ბრძანდებით, იმისავე ლოგიკით იხელმძღვანელეთ, დაანებეთ ვინაობის კითხვასა და ნ. ელიავას ნუგეშისცემას თავი, გაეცით პასუხი „ვერ მიცანას" იმ ორ ფელეტონზედ არსებითად, საქმიანად და მიუხვევ-მოუხვევლად. ბანზე სიტყვას ნუ-ღა აგდებთ, არ შეგშვენით, არ შეგშვენით მით უმეტესად, რომ საზღვარ-გარედ ნამყოფი ბრძანდებით, იქ ბევრი რამე განახავთ და ალბად ისიც უნდა იცოდეთ, რომ მელასავით თავის მოსაკვდარუნება და მერე კუდის ამოძვება შესაშვები არ არის.

იმედი გვაქვს, რაინდულად მოიქცევით, იმ ახდა-უბდას თავს დაანებებთ, და პასუხს გასცემთ. მაგრამ, არა მგონია, რომ თქვენ მაგოდენა სულგრძელება გქონდეთ და გაჰბედოთ. რით აგიხსნათ, ბ-ნო ყორდანია, რომ, თუ თქვენ არ შეგიძლიანთ და არა გსურთ პასუხის გება, თქვენს თანამშრომელს ბ-ნს ელიავას არ აძლევთ საშუალებას თავი გაიმართლოს მძიმე ბრალდებისაგან? რითი აგვიხსნათ, რომ თქვენ, იმისდა მიუხედავად, რომ განაცხადეთ, არაფერს არ ვიტყვითო, ვიდრე „ფარდას არ აიხდისო", სურგულაძის წერილი დაჰბეჭდეთ? თუ ერთის მოსმენა შეიძლება, მეორემ რაღა დააშავა? მერე იმისთანა „მეორემ", რომელსაც როგორც ბრალდებულს, მეტი უფლება ჰქონდა ლაპარაკისა, ვიდრე სხვას ვისმეს. რამ დაგიბნიათ დავთარი, ბ-ნო ყორდანია?

ბ-ნ ყორდანიასაგან მეორე იმედ-გაცრუებული მკითხველი, მოსკოველი ქართველი ვაჭარი სანდრო კვალიაშვილი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ივნისი

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია: 1) იმ ფულის დასამატებლად, რომელიც გადადებულია ამ ჟამად ანუ ნება-დართულია გადასადებად დღემდე, გაიცეს სახელმწიფო ხაზინიდგან სამაზრო და საქალაქო სასწავლებელთა შესანახად: 1900 წელს—50,000 მან., 1901 წელს—100,000 მან., 1902 წელს—150,000 მან., 1903 წ.—200,000 მან. და 1904 წლიდგან—250,000 მ. წლიურად, 2) უფლება მიეცეს საერო განათლების მინისტრს გასცეს ეს ფული ფინანსთა მინისტრთან წინდაწინ მოლაპარაკებით და განსაკუთრებულ ნება რთვის აუღებლად.

**პარიჟი.** აი დედანი სამინისტრო დეკლარაციისა, რომელიც წაკითხულ იქმნა პალატაში ვალდეკ-რუსოს მიერ, ხოლო სენატში მონისის მიერ: „პალატამ, გარდასწყვიტა-რა მხარი დაუჭიროს მხოლოდ ისეთს მთავრობას, რომელიც თავგამოდებით დაიცავს რესპუბლიკის დაწესებულებათ და უზრუნველ ჰყოფს საზოგადოებრივს წესიერებას, ნათლად განსაზღვრა საგანი ახალის კაბინეტისა, რომელიც გამსჭვალულია ამ საგნის შესრულების ძლიერის სურვილით. რადგან საქმე საზოგადო საკუთრების დაცვას შეეხება, ამის გამო ჩვენ ვგონებთ, რომ დასთა განხეთქილება უნდა დაიჩრდილოს, და რომ საქმე, რომელსაც ჩვენ უნდა შევუდგეთ, მოითხოვს ყველა რესპუბლიკელთა თანამონაწილეობას. რაკი საგანი აშკარაა, რაკი ეს სახეს იცვლის მეთოდისა და მოძღვრების თანახმად, ამიტომ მორიგების მიღწევა არ არის ძნელი: აზრთა სხვა-და-სხვაობა მოისპობა ერთისა და იმავე მოვალეობის ასრულების საჭიროების გამო. იმ აგიტაციის მოსპობა, რომელიც მიმართულია არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ; სამსახურის ყველა ნაწილში ერთგულის დახმარებისა და მხნეობის მოთხოვნა,—აი რა უნდა შეადგენდეს მთავრობის საზრუნავს საგანს. არ იქმნება დამოკიდებული მისგან, თუ მართლ-მსაჯულებას არ შეეძლება თავისის მოვალეობის შესრულება, თუმცა სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს. მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აიძულოს ყველანი პატივი სცენ ყოველს განაჩენს. ის არ განასხვავებს იმათ, რომელთაც უმთავრესად დავალებული აქვთ ადამიანთა გასამართლება, და თუ ისინი ქვეყნის სურვილს სახეში მიიღებენ, მაშინ მათი გადაწყვეტილებანი მომზადდება სიმშვიდისა და პატივისცემის ნიადაგზედ. ინტერესთა პირველს ადგილზედ ჩვენ ვაყენებთ ჯარს, რომელშიაც მესამე რესპუბლიკამ ისეთი ფართო ცვლილებანი შეიტანა, რომ ის ერთსა და იმავე დროს არის სიმბოლო საფრანგეთის უშიშარ მყოფობისა და სიამაყისა.

**პარიჟი.** სამინისტრო დეკლარაციის განგრძობა. ბოლო უნდა მოეღოს ერთმანეთის გამამწვავებელ შეკამათებას, რომელიც ცუდად ემსახურება ერის ინტერესებს, და დადგენილ უნდა იქმნას მოკლე ხანში ის კანონები, რომელნიც საჭირონი არიან სახელმწიფოს მოქმედების წესიერ მსვლელობისათვის. თუ ჩვენი მეცადინეობა არ დარჩა უნაყოფოდ, რესპუბლიკა მალე ხელ-ახლად შეუდგება ეკონომიურისა და სოციალურის პროგრესის საქმეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვიქნებით, რომ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა, თუ მოვახერხეთ ხელ ახლად გზის გაწმენდა პოლიტიკისათვის, რომელიც სცდილობს მოსპოს ყოველივე ის, რასაც-

კი ჩვენს შორის აზრთა უთანხმოების გამოწვევა შეუძლიან, და შეჰქმნას ის, რაც-კი გვაერთებს.

15 ივნისი.

**პეტერბურგი.** ბიულეტენი. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა და უმაღლესად ახლად-შობილი სრულიად კარგად ბრძანდებიან.

**პარიჟი.** (ამ დეპეშამ ძალიან დაიგვიანა: იგი შეიცავს სამინისტროს დეკლარაციის შუა ნაწილს და უნდა ჩართულ იქმნას გუშინდელ ორ დეპეშის შუა), როგორც ყველა შესანიშნავი მხედართ მთავარნი, ჩვენც იმ აზრისანი ვართ, რომ სრულის დისციპლინის და წეს-რიგის დაცვა პირველი და არსებითი თავდებია ჯარის სიდიადისა. ჩვენ ვაპირებთ თანაბარი თავ-გამოდებით დავიცვათ ჯარი როგორც მის მოწინააღმდეგეთაგან, ისე იმათგან, რომელნიც ყოვლად უკადრისი თხოვნით მიმართავენ მას. ჩვენ, ისე როგორც ყველა იმათ, ვისაც საფრანგეთის ზნეობრივი ერთობა აუცილებელ პირობად მიაჩნია მისი კულტურული დანიშნულებისათვის, ყველაზე უწინ ისა გვსურს, რომ დამყარდეს მშვიდობა. ეს მალე მოხდება, თუ ყველა და თვითოეული უარ ჰყოფს თვით მსაჯულებას ანუ სასამართლოს განაჩენის და ქედს მოიხრის კანონის წინაშე. ჩვენ-მიერ ჩვენის მოვალეობის ასასრულებლად და ყველა ჯეროვანის ზომების მისაღებად ჩვენთვის საჭიროა პარლამენტისაგან ხელის შეწყობა და სრული მისი ნდობა. დაე გაგვასამართლოს ჩვენის მოქმედების და არა დაპირების მიხედვით ჩვენ ვთხოულობთ უფრო ფართო უფლებებს, მაგრამ იმავე დროს ვკისრულობთ მის წინაშე უმეტეს პასუხმგებლობას.

**პარიჟი.** სენატი. სამინისტრო დეკლარაციას აღტაცებულის ტაშის ცემით მიეგებნენ. გიუოს შეაქვს შემდეგი წინადადება: „სენატი სახეში იღებს მთავრობის დეკლარაციას და, იმედი აქვს რა მისს სიმარჯვესა და სტკიცისა რესპუბლიკის დაწესებულებათა და საზოგადოებრივის წესიერების უზრუნველყოფის საქმეში, გადადის მორიგს საქმეებზედ“. ეს წინადადება მიღებულ იქმნა 187 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 25 ისა (ტაშის ცემა). სხდომა დაიხურა.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. დიდძალი ხალხი ჰგროვდება და დიდი მოძრაობაა. სადიპლომატიო ტრიბუნაში იმყოფება თავადი ურუსოვი და მონსონი. სხდომის დაწყების დროს რამდენიმე სოციალისტმა წამკითხველს ხმაურობით კითხვა შეაწყვეტინა. ვალდეკრუსოს ტაში დაუკრეს, როცა მან გამოაცხადა, მე მოვახერხებ ვაიძულო ყველანი პატივი სცენ კონსტიტუციასა და მართლმსაჯულებას და შევაძლებინებ უკანასკნელს შეასრულოს თავისი საქმე სრულიად თავისუფლადაო. დეკლარაციის უკანასკნელ ნაწილს ტაშის ცემით მიეგებნენ მემარჯვენენი და ცენტრი. სოციალისტი როში შეეკითხა მთავრობას მისი პოლიტიკის შესახებ. ორატორმა მთავრობას ის ბრალი დასდო, რომ ეს არის მთავრობა ბრძოლისა, მთავრობა გამოწვევისათ. შემდეგ ორატორმა სასტიკად ჰკიცხა გალიფე (წინააღმდეგობაა), სოციალისტმა მირმანმაც გაჰკიცხა გაბინეტის შედგენილობა.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. მირმანი, რომელიც სასტიკად ჰკიცხავდა გალიფესა და ლანესანს, მოსთხოვეს, წერილებს ნუ არღვევთო. სოციალისტმა ვივიანმა განაცხადა, მე და ჩემი მეგობრები ხელს შევუწყობთ კაბინეტს ცეზარიულ და კლერიკალურ რეაქციის საწინააღმდეგო ბრძოლაშიო (ტაშის ცემაა სოციალისტების სკამებზედ). ვალდეკ-რუსომ განმარტა, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კაბინეტის შედგენის დროს. მეო, სთქვა მან, მასულდგმულებდა 12 ივნისის კენჭის ყრა, რომლითაც პალატამ რესპუბლიკის დაცვა მოისურვა, მე წინდაწინვე ვხედავდი იმ კრიტიკას, რომელსაც კაბინეტის შედგენილობა გამოიწვევდა. უეჭველია, რომ მრავალ პოლიტიკურ და ეკონომიურ საქმეში მინისტრების შეხედულებანი ერთმანეთს არ ეთანხმებიან (სიცილია მემარჯვენეთა მხარეზედ), მაგრამ ისინი მისდევენ ერთსა და იმავე აზრს, რომელიც ყველა ამ დავაზედ მაღლა სდგას. ეს აზრია ყველა რესპუბლიკელთა ერთობა (ხვა და სხვა გვარი მოძრაობაა). თვითეული დღევანდელი მინისტრი გამოჰხატავს რესპუბლიკის იდეალს (ორატორს სიტყვას აწყვეტინებენ. ყვირილია. დეშანელი ქუდის დახურვას აპირებს) სამინისტრო უკვე იძულებული შეიქმნა იკისროს პასუხის გება ზოგიერთ საქმეში, მაგრამ ის ჰგონებს, რომ შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად მას პარლამენტის დახმარება ესაჭიროებაო. (ტაშის ცემაა მემარცხენეთა მხარეზედ. ხმაურობაა მემარჯვენეთა მხარეზედ). ვალდეკ-რუსო განაგრძობს სიტყვას.

### ა—ეს პასუხად

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის“ მე-89 №-ში მოთავსებულია წერილი ლეჩხუმიდამ ვილაც ა—ესი, რომელიც, სხვათა შორის, სწერს: 1-ს აპრილს თავისუფალ სვანეთში გზის მუშაობის დროს, სვანეთის ბოქაულს დალაქიშვილს ერთმა სვანმა თოხი დასცა (!) თავში ყუით და წააქცია; სხვებმაც თითო-ოროლა დაჰკრეს, ასე რომ ბოქაული კარგად (Sic) წაიღეს ბეჩოში და სხვა... მართალია, ეს სვანებთათვის სამწუხარო ამბავი მოხდა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს მოუსურვებია ბ-ნს ა—ეს.

ბოქაული დალაქიშვილი ლატალის საზოგადოებაში თავს ადგა გზის მუშას, რომელთაც თავ-და-რიგს აძლევდა; ამ დროს ერთმა ბრიყვმა სვანმა თოხი შემოჰკრა და მაშინვე გაიქცა. დანარჩენ მუშებმა არა-თუ თითო-ოროლი შემოჰკრეს (ამას ხომ დალაქიშვილი კი არადა, კამეჩიც ვერ გაუძლებდა, რადგან მუშა 60-დე იქმნებოდა), შეწუხებულნი თავიანთ სახლებში დაიმალნენ და მეორე დღეს მთელი ყრილობა ემუდარებოდა დალაქიშვილს, გული არ აეცრუებინა ხალხის მიმართ გუშინდელის ერთი მათგანის ბრიყული საქციელისა გამო. ბ-ნი დალაქიშვილი თითონვე მივიდა ადგილობრივ მღვდლის სახლში, ღამე მოისვენა და არავის წაყვანა არ დასჭირებია და ისიც „კარგად“ გალახულისა ბეჩოში, როგორც ესა სწადიან არა მკითხე ავტორს წერილისას. ვიმეორებ, ეს სამწუხარო შემთხვევა მოხდა, რომელმაც ყველა გაგებული სვანი შეაწუხა. გაგებისათანავე ამ შემთხვევისა თთ. დაეშკელიანები, სამღვდელოება, მასწავლებელნი და გლეხკაცობაც მივიდნენ ბ-ნ დალაქიშვილთან და თავისი ღრმა მწუხარება გამოუცხადეს მას ამ უსიამოვნო შემთხვევისა გამო. ან როგორ არ გამოუცხადებდენ, როდესაც ყოველი თვალ-ხილული სვანი ჰხედავს, თუ როგორ გულს მოდგინეთ ეკიდება დალაქიშვილი სვანეთისათვის სასარგებლო საქმეებს! ბ-ნმა დალაქიშვილმა თავისის დაუღალავის შრომითა და მხნეობით თითქმის გააყვანინა ხალხს მთელის სვანეთის სიგრძეზე საეპიანი გზა, ააგებინა ყველა სკოლებისათვის ქვითკირის შენობანი და სხვა და სხვა. ბ-ნ ა—ეს თუ ასე გაფაციცებით თვალ-ყური უჭირავს სვანეთის შესახებ, ისიც არ უნდა დავიწყებოდა, რომ დალაქაშვილის დანიშვნამდე სვანეთის გზები გზები კი არ იყო, არამედ თხების სავალი ბილიკები, სადაც ყოველს ნაბიჯზედ კისრის მოტეხის შიში ჰქონდა ადამიანს, სადაც ზოგიერთის სუსტის ნერვების პატრონი ადამიანი თვალ ახვეული გაჰყავდათ, რომ შიშით ამ გზების შემხედვარეს გულს არ შემოჰყროდა, ეხლა-კი სვანეთის გზებზე თუნდა ეტლი გაივლის. ეს არის საფუძვლიანი მიზეზი, რომ ყველა გაგებულს სვანს სამწუხაროდ დაგვირჩა როგორც ის შემთხვევა დალაქიშვილთან, ისრე ბ-ნ ა—ეს რაღაც სიამოვნების გამომეტყველი წერილი იმავე დალაქიშვილის შეურაცხების შესახებ. ბ-ნ ა—ეს აზრით სვანებს არა ჰქონიათ უნარი ავისა და კარგის გარჩევისა, თორემ როგორ მოხდა, რომ დალაქიშვილამდე სვანეთში ბარე ათი ბოქაული ყოფილა, რომელთაც ვერაფერი სასარგებლო კვალი ვერ დაუმჩნევიათ ხალხის ცხოვრებაში და დალაქიშვილმა-კი სამის წლის განმავლობაში იმდენი გააკეთა სვანების სასარგებლოდ, რის გაკეთებაც მისმა წინა მოადგილეებმა ვერ შესძლეს 43 წლის განმავლობაში. პირველნი, ე. ი. ბოქაულნი ისე მშვიდობით წავიდენ სვანეთიდგან, რომ ბუზიც არავის აუფრენია, ხოლო დალაქიშვილს, ამ სვანეთისათვის სასარგებლო ბოქაულს, თავში დაჰკრეს. თუ ასე ჰფიქრობს ბ-ნი ა—ე, შემცდარა, რადგან სვანები ისე უგუნურნი არა ვართ, როგორც წერილის ავტორს მოზმანებია, და თუ ეს სამწუხარო ამბავი მოხდა, მოხდა იმ რუსულის ანდაზის თანახმად, რომელიც ამბობს „Семья не безъ урода“-ო.

თავისუფალი სვანი.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ჟამად თავისუფალია ერთი სტიპენდია გრაფის ლორის-მელიქოვის სახელობისა. ამ სტიპენდიის დებულების თანახმად, შეუძლიან ისარგებლოს იმ ხელ-მოკლე სტუდენტმა, რომელსაც კარგადა აქვს დამთავრებული ტფილისის ერთ-ერთი გიმნაზია და რომელიც ტფილისის მკვიდრია. განცხადება საბუთის ქაღალდებით ამ სტიპენდიის დანიშვნის შესახებ მიიღება ამა 1899 წლის 1 აგვისტომდე.

(3—6.—3)

სოფელს კასპში, რკინის გზის სადგურთან ახლო **ისყიდება** ანუ

ქირავდება საზაფხულოდ

## ოთხი ოთახი

ავეჯით და ორხოებით მოწყობილი, წინ ეზოთი და მიწით, ზომით ერთ დესეტინამდის. ფასის შესატყობად მიმართეთ მელქო კუთხაშვილს (კასპში, ამილახვარის სახლში).

# ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 ივნისისათვის 1899 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | 10035 | 62 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | 3600 | — |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | 29110 | — |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი | 3099 | 25 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | 3021 | 63 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | 212453 | 33 |
| VII. პროტესტში წასული თამასუქები | 500 | — |
| VIII. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 8033—84; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 10749—20; გ) საქონელზედ 15785—; დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 7666—40 | 42234 | 44 |
| IX. დასაბრუნებელი ხარჯი | 176 | 62 |
| X. მოწყობა-მომართვა | 871 | 84 |
| XI. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 235 | 33 |
| XII. სხვა-და-სხვა დებიტორები | 370 | 24 |
| XIII. გარდასაცემი თანხა | 7 | 21 |
| XIV. მიმდინარე ხარჯი | 4799 | 71 |
| სულ | 310515 | 22 |

**პასსივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 732 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | 76123 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს) | 3141 | 16 |
| III. სარგებელი სათადარიგო თანხის კუთვნილ. ფასიან ქაღალდებისა | 16 | 16 |
| IV. შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით 87469—07; ბ) ვადით 125930—— | 213399 | 07 |
| V. გარდასაცემი თანხა | 2314 | 23 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი | 391 | 60 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | 36 | 94 |
| VIII. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიშები | 85 | 77 |
| IX. გადანაღდებული თამასუქები | 2350 | — |
| X. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად | 500 | — |
| XI. მიღებული სარგებელი | 8457 | 95 |
| XII. 1898 წ. წაუღებელი დივიდენდი | 3447 | 55 |
| XIII. 1898 წლის წმინდა მოგების ნაშთი | 251 | 79 |
| სულ | 310515 | 22 |
| პასუხის-მგებლობა 732 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 685107 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 2400 | — |
| თამასუქები საკომისიოდ | 818 | 40 |

(1—6.—1)

**საზოგადოება იხდის:** მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოდ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლისა და მეტის ვადით—5½%. **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსი თვის ვადამდე გაცემულისათვის—9½%, ვადიან ქაღალდებზე, კუპონებისა და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას—6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდებზე 6%, ბ) საქონელზე და სასოფლო ნაწარმოებზე—9%, თუ საგანი მიმდინარე ანგარიშზედ არის განაღდებული ... და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—7½%, თამასუქების გირაოზედ—9½%.

Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Іюня 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.